



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 6 დეკემბერი, 2017 წელი

დრო: 12:00 -14:00

შეხვედრის ადგილი: „ლიბერალური აკადემია თბილისი“-ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ევროპის ფონდი
2. ლაშა ტულუში - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, თავისუფალი არჩევანი
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
5. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია ”საქართველოს ჩაი“
6. ნანა ფიროსმანაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
7. ვლადიმერ ბოჟაძე - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
8. ვიტალი გიორგაძე - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს რკინიგზებელთა ახალი პროფესიული კავშირი

განსახილველი საკითხები:

- საქართველოს ეროვნული პლატფორმისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი კონფერენცია;

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ.

საბჭომ დეტალურად განიხილა საქართველოს ეროვნული პლატფორმისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი კონფერენციასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

მათ შორის, იმსჯელეს კონფერენციის დაწყების დროის ცვლილების საკითხზე. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დატვირთული დღის წესრიგის გამო, გადაწყდა კონფერენცია დაიწყოს 11:00 საათზე, ნაცვლად 10:00 საათისა. საბჭომ სამდივნოს სთხოვა შეხვედრის საბოლოო დღის წესრიგი კიდევ ერთხელ გადაუგზავნოს კონფერენციაზე რეგისტრირებულ მონაწილეებს, ასევე განათავსოს პლატფორმის ვებ გვერდზე.

საბჭო ასევე შეთანხმდა, რომ მნიშვნელოვანია კონფერენციის შემდგომ პლატფორმამ მოამზადოს პრესრელიზი, სადაც მიმოხილული იქნება კონფერენციის შედეგები.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა